საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

finedu

# ფინანსური განათლება ეროვნულ სასწავლო გეგმაში

## IX კლასი

საქართველოს ეროვნული ბანკი

17 დეკემბერი, 2020

# რატომ არის საჭირო ფინანსური განათლება?

## რა არის ფინანსური განათლება?

- ცოდნის, ქცევებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომლებიც აუცილებელია ფინანსურად ჯანსაღი და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად და ფინანსური კეთილდღეობის მისაღწევად.

## რატომ არის მნიშვნელოვანი ფინანსური განათლება?

ფინანსური განათლება -აუცილებელი ცხოვრებისეული უნარი და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჩარჩოს განუყოფელი ნაწილი.

ახალგაზრდების ფინანსური განათლების მნიშვნელობა:

- ფინანსური განათლება ადრეული ასაკიდან, სკოლაშივე უნდა იწყებოდეს (OECD 2005, 2015)
- ფინანსური განათლება და დანაზოგების გაზრდილი მაჩვენებელი სკოლებში (Batty et al. 2015)

# ფინანსური განათლება სკოლებში: საერთაშორისო გამოცდილება

## ავსტრალია

2008 წ. - ესგ-ს ნაწილი (ინგლისური, მათემატიკა, მეცნიერებები, ეკონომიკა და ბიზნესი) – I-X კლ.

## ახალი ზელანდია

2007 წ. - ესგ-ს ნაწილი (სხვადასხვა საგანში) – I-XIII კლ.

## სამხრეთ აფრიკა

2010 წ. - ესგ-ს ნაწილი I-XII კლ. (კლასების მიხედვით სხვადასხვა საგანში (მათემატიკა, ეკონომიკა, ბიზნესი))

## გაერთიანებული სამეფო

2008 წ. - ესგ-ს ნაწილი (ინგლისი: მოქალაქეობა

## იაპონია

2009 წ. - ფინ. განათლების საგნებში: სოციალური მეცნიერებები და ეკონომიკა

## აშშ

პირადი ფინანსები - სავალდებულო 22 შტატში

ეკონომიკა - სავალდებულო 44 შტატში + DC

# ფინანსური განათლება ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში

**ფინანსურ-ეკონომიკური საკითხების ინტეგრაცია**

- საგანი „მოქალაქეობა“ – VII, IX, X კლასი (2018)
- შეხვედრა VII კლასის ავტორებთან (2018)
- სებ, განათლების სამინისტრო

**სასწავლო მასალის შემუშავება**

- დამხმარე სასწავლო მასალა და ტრენინგ-მოდული VII კლასის მასწავლებლებისთვის (2020) - სებ, SBFIC, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი
- ხელმისაწვდომია პორტალზე: www.finedu.gov.ge
- შემდეგი ეტაპი: IX და X კლასის სასწავლო მასალები




**პედაგოგების გადამზადება**

- ToT და VII კლასის პედაგოგთა გადამზადება (2020-2021)
- სებ, SBFIC, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი
- შემდეგი ეტაპი: IX-X კლასის პედაგოგთა გადამზადება

# ფინანსურ-ეკონომიკური საკითხების ჩამონათვალი

## VII კლასი

### თემა: ეკონომიკური ურთიერთობები თემში

- ფული და ბარტერი;
- ბაზარი (მოთხოვნა და მიწოდება) და ფასი;
- კერძო და საჯარო საკუთრება;
- შემოსავალი, ხარჯვა და ბიუჯეტირება (პირადი ფინანსების მართვა);
- დაზოგვა და ქველმოქმედება.

## IX კლასი

### თემა: ეკონომიკა და სახელმწიფო

- სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები;
- ფინანსური ორგანიზაციები და მომსახურებები;
- მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები;
- დაზღვევა.

## X კლასი

### თემა: ეკონომიკა და გლობალური პროცესები

- საერთაშორისო ვაჭრობა და ეკონომიკური ინტეგრაცია;
- ვალუტა და გაცვლითი კურსი;
- ფინანსური ორგანიზაციები და მომსახურებები;
- მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები;
- ინვესტირება;
- ფინანსური რისკები, თაღლითობა და ფინანსური უსაფრთხოება

# თემა: ეკონომიკა და სახელმწიფო

საკითხები

- სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები;
- ფინანსური ორგანიზაციები და მომსახურებები;
- მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები;
- დაზღვევა.

# შეფასების ინდიკატორები

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სახელმწიფოში არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებში საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობისა და გზების გაცნობიერება;
- გააანალიზოს, თუ რა ფაქტორების გათვალისწინებით იკვეთება პრიორიტეტები სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისას;
- ფინანსურ-ეკონომიკურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის სწორი ფორმების გაანალიზება;
- მომხმარებლის უფლებებისა და პასუხისმგებლობების, ასევე მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმების გაანალიზება;
- ფინანსური გადაწყვეტილებების განხილვისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება

# მკვიდრი წარმოდგენები

- შრომის დანაწილება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს; ყველა პროფესია საჭირო და დასაფასებელია;
- გადახდილი გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტში მიდის და მოსახლეობის კეთილდღეობას ხმარდება;
- სესხის აღებამდე რეალისტურად უნდა ავწონ-დავწონოთ ჩვენი სურვილები და შესაძლებლობები, ყურადღებით გავეცნოთ ხელშეკრულებას და ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა შემოთავაზება;
- ჩვენ, როგორც მომხმარებლებს, გარკვეული უფლებები და პასუხისმგებლობები გვაქვს;
- პასუხისმგებლიანი ფინანსური გადაწყვეტილებები ჩემი მომავალი კეთილდღეობის საფუძველია;
- დაზღვევა გვეხმარება ფინანსური რისკების შემცირებაში ან თავიდან არიდებაში.

# პროფესია და სამსახური



საკვანძო შეკითხვები:

- რატომ არსებობს სხვადასხვა პროფესია? რატომ ინაწილებენ ადამიანები შრომას?
- რატომ არის მნიშვნელოვანი სამსახურის დაწყებისას შრომითი ხელშეკრულების გაფორმება?

ძირითადი საკითხები

- საიდან მოდის ფული?
- როგორ უნდა ავირჩიოთ პროფესია?
- რა უნდა გავითვალისწინოთ სამსახურის დაწყებამდე?
- რას ნიშნავს შრომის დანაწილება?

# პროფესია და სამსახური

## საიდან მოდის ფული?



დაქირავებით შრომა




აქტივის ფლობა



მეწარმეობა

# პროფესია და სამსახური

## როგორ ავირჩიოთ პროფესია?

| პროფესია | კარიერა | სამსახური |
| --- | --- | --- |
| შრომითი საქმიანობა, რომელიც მოითხოვს სპეციალურ განათლებას, მომზადებასა და უნარებს. | უნიკალური გამოცდილებისა და იმ სოციალური როლების კომბინაცია, რომელსაც ვიღებთ მთელი ცხოვრების მანძილზე, რომელიც არის ინდივიდუალური, სცდება ორგანიზაციებისა და პროფესიების ფარგლებს, მოიცავს სწავლას, მუშაობას და საკუთარი თავის გამოხატვას. | კონკრეტული მოვალეობა, დავალება ან საქმიანობა, რომელსაც ადამიანი ასრულებს რეგულარულად თავისი დროის, ენერგიისაა და უნარების ხარჯზე, ფულის გამომუშავების მიზნით. |

# პროფესია და სამსახური

## როგორ ავირჩიოთ პროფესია?

- რისი კეთება გვიყვარს?
- რა გვაინტერესებს?
- რა გამოგვდის კარგად?
- რა განათლებაა საჭირო?
- რომელი პროფესიებია მოთხოვნადი?
- რამდენია საშუალო ანაზღაურება?

# პროფესია და სამსახური

## როგორ ავირჩიოთ პროფესია?

სავარჯიშო 1:

- შეარჩიეთ 2 განსხვავებული პროფესიული სფერო (დარგი);
- მოიძიეთ ინფორმაცია ინტერნეტით - რა სამსახური შეიძლება იყოს ამ დარგში?
- რა ფუნქცია- მოვალეობებს მოიცავს?
- რა განათლება გჭირდებათ?
- რამდენია საშუალო ხელფასი?

| | | |
|---|---|---|
| პროფესიული სფერო (დარგი) | | |
| სამუშაოს დასახელება | | |
| სამუშაოს აღწერა | | |
| განათლება/ტრენინგები | | |
| საშუალო ხელფასი | | |

# პროფესია და სამსახური

## როგორ ავირჩიოთ პროფესია?

სავარჯიშო 2:

- მოსწავლეებს ეძლევათ ცხრილი აქტივობების ჩამონათვალით, სადაც შესაბამის უჯრებში აკეთებენ აღნიშვნას იმ შემთხვევაში, თუკი მოსწონთ ეს აქტივობა;
- მოსწავლეებს ეძლევათ პასუხები, სადაც ახსნილია მათი ტესტის შედეგები: მაგ., თუ ყველაზე მეტი მონიშვნა აქვთ 1-ელ უჯრაში, მათ მოსწონთ ამა და ამ ტიპის სამუშაო, რასაც ესა და ეს პროფესიები შეესაბამება;
- შემდეგ ეტაპზე ისინი განიხილავენ პროფესიებს და ალაგებენ პრიორიტეტების მიხედვით.

# პროფესია და სამსახური

## როგორ ავირჩიოთ პროფესია?

სავარჯიშო 2:

- მოსწავლეებს ეძლევათ ცხრილი აქტივობების ჩამონათვალით, სადაც შესაბამის უჯრებში აკეთებენ აღნიშვნას იმ შემთხვევაში, თუკი მოსწონთ ეს აქტივობა;
- მოსწავლეებს ეძლევათ პასუხები, სადაც ახსნილია მათი ტესტის შედეგები: მაგ., თუ ყველაზე მეტი მონიშვნა აქვთ 1-ელ უჯრაში, მათ მოსწონთ ამა და ამ ტიპის სამუშაო, რასაც ესა და ეს პროფესიები შეესაბამება;
- შემდეგ ეტაპზე ისინი განიხილავენ პროფესიებს და ალაგებენ პრიორიტეტების მიხედვით.

# ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲕᲘᲠᲩᲘᲝᲗ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ?

ᲠᲐ ᲣᲜᲐᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ?

- საბაზისო ცოდნა და უნარები (სპეციფიკური განათლება)
- კომუნიკაბელურობა (ადამიანებთან ურთიერთობა)
- გუნდური მუშაობა
- ტექნოლოგიების გამოყენება
- კარგი ვერბალური კომუნიკაციის უნარი (ინფორმაციის გასაგებად გადმოცემა)
- პრობლემების გადაწყვეტა (დასახული ამოცანების გადაჭრის გზების ძიება)
- მსგავსი სამუშაოს კეთების გამოცდილება
- ორგანიზებულობა

# ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲕᲘᲠᲩᲘᲝᲗ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ?

### ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲔᲝᲑᲐ



მოხალისე არის ადამიანი, რომელიც გასცემს თავის დროსა და უნარებს ანაზღაურების გარეშე.

### ᲡᲢᲐᲟᲘᲠᲔᲑᲐ



საშუალებას გაძლევთ გამოიყენოთ მიღებული აკადემიური ცოდნა პრაქტიკაში. სტაჟირება უნდა იძლეოდეს გამოცდილების მიღების საშუალებას კონკრეტულ სამსახურსა თუ პროფესიაში.

# პროფესია და სამსახური

## რა უნდა გავითვალისწინოთ სამსახურის ძიებისას?

- ორგანიზაციული კულტურა
- სამუშაოს მიღმა აქტივობების შესაძლებლობა
- კომპანიის საქმიანობის სფერო
- მატერიალური და არამატერიალური სარგებელი
- სამუშაო ადგილის მდებარეობა

! შრომითი ხელშეკრულების გაფორმება

# პროფესია და სამსახური

## რას ნიშნავს შრომის დანაწილება?

| შრომის დანაწილება |
| --- |
| პრაქტიკა, როდესაც ადამიანს ეძლევა საშუალება ფოკუსირებული იყოს კონკრეტულ სამუშაოზე. |

- ადამიანები მოიხმარენ გაცილებით მრავალფეროვან პროდუქტსა და მომსახურებას, ვიდრე თავად ქმნიან;
- ადამიანები სპეციალიზდებიან კონკრეტულ საქმიანობაზე;
- ადამიანები ერთმანეთში ცვლიან პროდუქტებსა და მომსახურებას;
- იგივე შეიძლება ვთქვათ სახელმწიფოებზეც;
- სპეციალიზაცია არის ვაჭრობის საფუძველი.

# პროფესია და სამსახური - სასარგებლო რესურსები

- FDIC – Money Smart for young People

https://www.fdic.gov/consumers/education/torc/grades_6_8.html (გაკვეთილი 1)
https://www.fdic.gov/consumers/education/torc/grades_9_12.html (გაკვეთილი 1)

- Visa – Practical Money Skills

https://www.practicalmoneyskills.com/teach/lesson_plans/grades_7_8 (გაკვ. 2)
https://www.practicalmoneyskills.com/teach/lesson_plans/grades_9_12 (გაკვ. 5)

- National Council for Economic Education - Financial fitness for life – student workouts grades 6-8 (გაკვეთილი 3, 5)
- National Council for Economic Education – Middle School Economics (გაკვეთილი 16)
- Economics & Personal Finance Recourses for K-12

https://www.econedlink.org/resources/division-of-labor-specialization-video-and-quiz/

- ფინანსური განათლების პორტალი- ფინედუ:

https://finedu.gov.ge/ge/ras-unda-miaktsiot-kuradgheba-samsakhuris-sherchevisas-1






# სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები

საკვანძო შეკითხვა:

- რატომ ვიხდით გადასახადებს? რაში ხარჯავს სახელმწიფო ჩვენ მიერ გადახდილ გადასახადებს?

ძირითადი საკითხები

- სად მიდის ჩემ მიერ გამომუშავებული ფული?
- რა არის სახელმწიფო ბიუჯეტი?
- რატომ ვიხდით და რაში ხარჯავს სახელმწიფო ჩემს მიერ გადახდილ თანხას?
- რა გადასახადები არსებობს?
- როგორ აისახება გადასახადები ჩემს პირად ფინანსებზე?

# სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები

სად მიდის ჩემ მიერ გამომუშავებული ფული?

**დარიცხული ხელფასი**

ხელფასი საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე

**ხელზე ასაღები ხელფასი**

ხელფასი, რომელიც გრჩებათ გადასახადების გადახდის შემდეგ და რომელიც სრულად თქვენს განკარგულებაშია

**გადასახადი**

სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდით გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე

# ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲘ

## ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

**ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ**

დროის გარკვეულ პერიოდში (ჩვეულებრივ, ერთი წლის განმავლობაში) სახელმწიფოს ყველა შემოსავლისა და ხარჯის ერთობლიობა.

გადასახადები

გრანტები

სხვა შემოსავლები

# სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები

## სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | თავდაცვა და უსაფრთხოება | ტურიზმი და ინფრასტრუქტურა | განათლება და მეცნიერება |
| საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება | ინსტიტუციონალური განვითარება | მიგრანტთა მხარდაჭერა | კულტურა, რელიგია, სპორტი |
| ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია | სოფლის მეურნეობა | სასამართლო სისტემა | გარემოს დაცვა |

# სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები

რა გადასახადები არსებობს?

| საერთო-სახელმწიფოებრივი | ადგილობრივი |
| --- | --- |
| საშემოსავლო გადასახადი | ქონების გადასახადი |
| მოგების გადასახადი | |
| დღგ | |
| იმპორტის გადასახადი | |
| აქციზი | |

# სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები

## სავარჯიშოს იდეები:

### რა გადასახადებს იხდის ოჯახი?

წარმოიდგინეთ ოჯახი, რომელიც აქირავებს თავის მფლობელობაში არსებულ ბინას და ყოველთვიური შემოსავალი ქირიდან 1500 ლარია. ოჯახის ერთ-ერთი წევრი დასაქმებულია და მისი ყოველთვიური დარიცხული ხელფასი 1900 ლარს შეადგენს. ოჯახის მფლობელობაში არსებული ქონება შეფასებულია 200 000 ლარით. რა გადასახადებს გადაიხდის ოჯახი? რამდენი იქნება მისი ხელზე ასაღები ყოველვიური შემოსავალი?

- საშემოსავლო გადასახადი (ქირაზე): 1500 x 5% = 75 ₾
- საშემოსავლო გადასახადი (ხელფასიდან): 1900 x 20% = 380 ₾
- ხელზე ასაღები ყოველთვიური შემოსავალი: (1500-75)+(1900-380) = 2945 ₾

- ქონების გადასახადი: 200 000 x 0.2% = 400 ₾ (ქონების გადასახადს იხდიან წელიწადში ერთხელ.

# სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები

## სავარჯიშოს იდეები:

### ბარათების წყვილები

- დაყავით კლასი რამდენიმე ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს დაურიგეთ „საქონლისა და მომსახურების ბარათებისა“ და „სახელმწიფოსა და ბიზნესის“ ბარათების თითო წყება.
- ბარათები გაშალონ იატაკზე ან მაგიდაზე, წარწერებით/გამოსახულებით ქვემოთ.
- მონაწილეებმა ბარათები უნდა დააწყვილონ იმის მიხედვით, თუ რომელ საქონელს ან მომსახურებას გვთავაზობს ბიზნესი, და რომელს სახელმწიფო.
- ჯგუფის თითოეული მონაწილე რიგრიგობით იღებს 2 ბარათს - თუ ეს ბარათები ერთმანეთს შეესაბამება, იტოვებს თავისთვის. თუ არა - აბრუნებს უკან. მონაწილეებმა უნდა დაიმახსოვრონ ბარათების მდებარეობა, რათა ადვილად დააწყვილონ ისინი. გაიმარჯვებს ის მონაწილე, რომელიც ყველაზე მეტ ბარათს დააწყვილებს.
- დაწყვილება ხდება შემდეგნაირად: ერთი საქონლისა და მომსახურების ბარათი შეესაბამება სახელმწიფოს ან ბიზნესის ბარათს. მაგალითად, საჯარო სკოლები - სახელმწიფოს, კაფე - ბიზნესს და ა.შ.

# სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები

## ბარათების ნიმუშები

| | | |
|---|---|---|
| კაფე  | მაისური  | გზები  |
| უსაფრთხოება  | თავდაცვა  | მანქანა  |

| | | |
|---|---|---|
| ბიზნესი | ბიზნესი | სახელმწიფო |
| სახელმწიფო | სახელმწიფო | ბიზნესი |

| | | |
|---|---|---|
| საჯარო ბიბლიოთეკა  | საღეჭი რეზინი  | პარკი  |
| კურიერის მომსახურება   | საჯარო სკოლა   | ვეტერინარის მომსახურება  |

| | | |
|---|---|---|
| სახელმწიფო | ბიზნესი | სახელმწიფო |
| ბიზნესი | სახელმწიფო | ბიზნესი |

# სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები

სასარგებლო რესურსები

- ფინანსური განათლების ბროშურა - სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები
- ფინანსური განათლების პორტალი - ფინედუ:

https://finedu.gov.ge/ge/me-da-gadasakhadebi-1

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - მოქალაქის გზამკვლევი:

https://www.mof.ge/mokalakis_gzamkvlevi

- ვიდეორგოლები გადასახადის შესახებ:

https://www.facebook.com/orjerorimartivad/videos/4
9465959062830

https://www.facebook.com/106568344023797/videos
761100701279 63






# ფინანსური ორგანიზაციები და მომსახურებები



საკვანძო შეკითხვები:

- როგორ ვირჩევთ ფინანსურ მომსახურებას/პროდუქტს? როგორ და რატომ ვურთიერთობთ ფინანსურ ორგანიზაციებთან?
- რატომ არსებობს ეროვნული ბანკი?
- როგორ უნდა ავწონ-დავწონოთ ფინანსურ მომსახურებასთან/პროდუქტთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები?
- რატომ უნდა მოვეპყროთ პასუხისმგებლობით ნასესხებ ფულს? რატომ არის საჭირო გავერკვე სესხის პირობებში გადაწყვეტილების მიღებამდე? რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ფინანსური ვალდებულებისთვის თავის არიდებას?

ძირითადი საკითხები

- კომერციული ბანკი და მისი ფუნქციები
- ეროვნული ბანკი და მისი ფუნქციები
- ძირითადი საბანკო პროდუქტები: დეპოზიტი, სესხი, ანგარიში, ბარათი
- ბანკის შერჩევის კრიტერიუმები

# ფინანსური ორგანიზაციები და მომსახურებები

## კომერციული ბანკი და მისი ფუნქციები




- მომხმარებლისგან ფულის მიღება და დეპოზიტზე განთავსება;
- ფულის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გასესხება;
- თანხის გადარიცხვა ანგარიშებს შორის და ფულადი გზავნილების განხორციელება;
- ინტერნეტით განხორციელებული გადახდების დამუშავება;
- ფულის სხვა ვალუტაში გადაცვლა/კონვერტაცია;
- კომუნალური და სხვა გადასახადების გადახდა;
- საკრედიტო და სადებეტო ბარათების გაცემა;
- და სხვა

# ფინანსური ორგანიზაციები და მომსახურებები

## ეროვნული ბანკი და მისი ფუნქციები




- ფასების სტაბილურობა
- ფინანსური სტაბილურობა
- ფულის ემისია
- მომხმარებლის უფლებების დაცვა

# ფინანსური ორგანიზაციები და მომსახურებები

## ძირითადი საბანკო პროდუქტები

| დეპოზიტი | სესხი |
|---|---|
| თანხა, რომელსაც ბანკში გარკვეული პერიოდით ვინახავთ და რომელზეც ბანკი საპროცენტო სარგებელს გვიხდის. | თანხა, რომელსაც ვიღებთ ვალის სახით. ამ დროს ვდებთ პირობას, რომ ამ თანხას, წინასწარ შეთანხმებულ ვადებში, უკან დავაბრუნებთ. დამატებით კი, მასზე დარიცხულ პროცენტსაც გადავიხდით. |

საპროცენტო განაკვეთი (პროცენტი) – ის გადასახადი, ანუ სარგებელი, რომელსაც თანხის მიმღები თანხის გამცემს უხდის.

# ფინანსური ორგანიზაციები და მომსახურებები

## ძირითადი საბანკო პროდუქტები

| სესხის მიზნობრიობა | სესხის გაცემა | სესხის გადახდა |
|---|---|---|
| სამომხმარებლო სესხი | გადახდისუნარიანობის შემოწმება | სესხის პროცენტი |
| იპოთეკური სესხი | საკრედიტო ისტორიის შემოწმება | სესხის საკომისიოები |
| განვადება | თავდებობა და უზრუნველყოფა | გადახდის გრაფიკი |
| საკრედიტო ბარათი | | |

# ფინანსური ორგანიზაციები და მომსახურებები

## ძირითადი საბანკო პროდუქტები

### სესხის აღებამდე საჭიროა:

**! დაფიქრდეთ**

განსაზღვროთ, რამდენად უპრობლემოდ შეძლებთ სესხის გადახდას როგორც ახლა, ისე მომავალში.

**! შეადაროთ**

ერთმანეთს შეადაროთ სხვადასხვა ბანკის შემოთავაზება და აირჩიოთ თქვენთვის ყველაზე მისაღები.

**! წაიკითხოთ**

ყურადღებით წაიკითხოთ სესხის ხელშეკრულება, დარწმუნდეთ, რომ გესმით ყველა პირობა და მხოლოდ ამის შემდეგ მოაწეროთ ხელი.

# ფინანსური ორგანიზაციები და მომსახურებები

## ძირითადი საბანკო პროდუქტები

### საბანკო ანგარიში

- თანხის შეტანა
- თანხის გატანა
- თანხის გადარიცხვა
- კონვერტაცია
- გადახდა

### საბანკო ბარათი

- თანხის განაღდება
- სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში გადახდა
- ინტერნეტით შესყიდვა

# ფინანსური ორგანიზაციები და მომსახურებები

## ბანკის შერჩევის კრიტერიუმები

### რეპუტაცია და სანდოობა

- იცნობთ ადამიანს, რომელსაც ამ ბანკში ანგარიში აქვს გახსნილი?
- რას ფიქრობს ამ ბანკზე?
- კმაყოფილია თუ არა ის ამ ბანკის მომსახურებით და პირობებით?
- ხომ არ გაგიგიათ უარყოფითი ახალი ამბავი ამ ბანკთან დაკავშირებით?

### მოსახერხებლობა და ხელმისაწვდომობა

- აქვს თუ არა ამ ბანკს ფილიალი/ბანკომატი თქვენს სკოლასთან, სახლთან ან სამსახურთან ახლოს?
- რა არის ფილიალის სამუშაო საათები?
- გთავაზობთ თუ არა ბანკი დისტანციურ მომსახურებას?

### ეთიკა

- იცავს თუ არა ბანკი ეთიკის წესებს?
- არის თუ არა ბანკის პირობები და რეკლამები გასაგები და გამჭვირვალე?
- იცავს თუ არა ბანკი მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს?
- ხომ არ აყენებს ზიანს გარემოს?

# ფინანსური ორგანიზაციები და მომსახურებები

## ბანკის შერჩევის კრიტერიუმები

### საპროცენტო განაკვეთი

- რამდენს შეადგენს საპროცენტო განაკვეთი ჩემ მიერ შერჩეულ დეპოზიტზე? სესხზე?
- რომელ დეპოზიტზეა შესაძლებელი ყველაზე მაღალი სარგებლის მიღება?
- სესხის შემთხვევაში, რა ხარჯი მემატება პროცენტის სახით?

### საკომისიოები და სხვა ხარჯები

- რა საკომისიოების გადახდა მომიწევს?
- რა ჯარიმა დამეკისრება ხელშეკრულების ამა თუ იმ პუნქტის დარღვევისას?
- სხვა რა ხარჯი ახლავს სესხის აღებას?

### შეზღუდვები

- რა თანხის გატანა შემიძლია ანგარიშიდან 1 დღის განმავლობაში?
- შემიძლია თუ არა დეპოზიტის თანხის ვადაზე ადრე გატანა?
- შემიძლია თუ არა ბარათით ნებისმიერ ვებგვერდზე გადახდა?

### განსაკუთრებული პირობები

- შესაძლებელია თუ არა რაიმე განსაკუთრებული პირობების მიღება?
- მეკუთვნის თუ არა რაიმე პროდუქტი უფასოდ?
- მექნება თუ არა ფასდაკლება თქვენი ბარათით სარგებლობისას?

# ფინანსური ორგანიზაციები და მომსახურებები

სავარჯიშოს იდეები:

## კედლის ბარათები:

დაამზადეთ „კედლის ბარათები“, რომლებზეც დაწერილი იქნება საბანკო პროდუქტები და ტერმინები და მათი განმარტებები. მიაკარით საკლასო ოთახში სხვადასხვა ადგილას.

დაყავით კლასი 4-5 გუნდად. თითოეულ გუნდს დაურიგეთ პასუხების ფურცელი, სადაც ჩამოწერილი იქნება თითოეული ტერმინი. გუნდის ერთმა მონაწილემ უნდა შეავსოს პასუხების ფურცელი, ხოლო დანარჩენმა მონაწილეებმა უნდა მოძებნონ ოთახში გაკრული ბარათები, დაიმახსოვრონ ტერმინების განმარტება, მიირბინონ თავიანთი გუნდის „მწერალთან“ და ჩააწერინონ პასუხები.

# ფინანსური ორგანიზაციები და მომსახურებები

სასარგებლო რესურსები

- ფინანსური განათლების ბროშურები
  - ფინანსური სისტემა და ფინანსური შუამავლები
  - დაზოგვა და დეპოზიტები
  - სესხება და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები
- ფინანსური განათლების პორტალი: finedu.gov.ge
  - კატეგორია: პირადი ფინანსების მართვა
  - კატეგორია: დაზოგვა
  - კატეგორია: სესხება
- სკოლა-ბანკი: ფინანსური განათლება ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის
  - გაკვეთილი: 3, 4, 5






# მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები

საკვანძო შეკითხვა:

- რა უფლებები და პასუხისმგებლობები გვაქვს ჩვენ, როგორც მომხმარებლებს?

ძირითადი საკითხები

- ეროვნული ბანკი, როგორც ფინანსური ორგანიზაციების მომხმარებელთა უფლებადამცველი
- მომხმარებლის უფლებები
- მომხმარებლის პასუხისმგებლობები

# მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები

## მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი

!

საქართველოში, ფინანსური ორგანიზაციების მომხმარებელთა უფლებებს, საქართველოს ეროვნული ბანკი იცავს.

მომხმარებლისთვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს:

- აუცილებელი
- გასაგები
- სრული
- უტყუარი
- თავისდროული

# მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები



## მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი

| ფინანსური ორგანიზაციები | მომხმარებლები |
|---|---|
| კომერციული ბანკი | ფიზიკური პირები |
| მიკროსაფინანსო ორგანიზაცია | იურიდიული პირები |
| სესხის გამცემი ორგანიზაცია | |

# მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები



## მომხმარებლის უფლებები

მიიღოთ სრული, ზუსტი, ადვილად გასაგები და თავისდროული ინფორმაცია

თავად გადაწყვიტოთ, რომელი ფინანსური პროდუქტის შეძენა გსურთ

თქვენთან ურთიერთობისას ფინანსურმა ორგანიზაციამ დაიცვას ეთიკის ნორმები

მოითხოვოთ ხელშეკრულების ნიმუში მის ხელმოწერამდე

დააფიქსიროთ პრეტენზია

# მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები



## მომხმარებლის უფლებები

**პრეტენზიის დაფიქსირება**

### ფინანსურ ორგანიზაციაში

- ზეპირსიტყვიერად
- წერილობით
- ელექტრონულად

### საქართველოს ეროვნულ ბანკში

(032) 2 406 406

cp@nbg.gov.ge

# ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ



## ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ

გაეცნოთ იმ ფინანსური პროდუქტის ყველა პირობას, რომლის შეძენაც გსურთ

ერთმანეთს შეადაროთ სხვადასხვა შემოთავაზება

შეასრულოთ თქვენ მიერ შეძენილი პროდუქტის ყველა პირობა

ფინანსურ ორგანიზაციას მიაწოდოთ ზუსტი და თავისდროული ინფორმაცია

გაუფრთხილდეთ პერსონალურ მონაცემებს

## სავარჯიშოს იდეები

### თეონას ისტორია

წაუკითხეთ მოსწავლეებს ისტორია გოგონაზე, რომელიც ბანკში მიდის, თუმცა ბანკი მის უფლებებს არღვევს. ყოველჯერზე, როცა ბანკი არღვევს თეონას უფლებებს, მოსწავლეებმა უნდა დაიყვირონ „არა“ და ერთად ახსნათ, რომელი უფლება დაირღვა. მოსწავლეებმა „არა“ უნდა დაიყვირონ იმ შემთხვევაშიც, როდესაც თეონა არ ასრულებს საკუთარ პასუხისმგებლობებს - შემდეგ კი ერთად ახსენით, როგორ უნდა მოქცეულიყო თეონა.

### როლური თამაში

დაყავით კლასი 2 გუნდად. თეონას ისტორიის მიხედვით ორივე გუნდმა უნდა გაითამაშოს სცენა ბანკში. ერთი გუნდი განასახიერებს იმას, რაც რეალურად, თეონას ისტორიაში მოხდა, ხოლო მეორე გუნდმა უნდა გაითამაშოს სცენა ისე, როგორც ისურვებდნენ, რომ ბანკი მოპყრობოდა თეონას.

# მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები

სასარგებლო რესურსები

- ფინანსური განათლების ბროშურა:
    - მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები
- ფინანსური განათლების პორტალი: finedu.gov.ge
    - კატეგორია: მომხმარებლის უფლებები
- სკოლა-ბანკი: ფინანსური განათლება ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის
    - გაკვეთილი: 7,8,9






# დაზღვევა



საკვანძო შეკითხვა:

- როგორ დაგვეხმარება დაზღვევა ფინანსური რისკების თავიდან არიდებაში?

ძირითადი საკითხები

- რა რისკები არსებობს?
- რაში გვეხმარება დაზღვევა?
- რა ტიპის დაზღვევა არსებობს?
- დაზღვევით სარგებლობისას გასათვალისწინებელი საკითხები

# დაზღვევა



რა რისკები არსებობს?

ავადმყოფობა

ქონების დაზიანება

სტიქიური მოვლენა

უმუშევრობა

ფინანსური დანაკარგი

და სხვა

# ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ

## ᲠᲐᲨᲘ ᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ?



### ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ

ფინანსური ინსტრუმენტი იმისათვის, რომ დაგიცვათ თქვენ, თქვენი ოჯახი ან თქვენი ბიზნესი გაუთვალისწინებელი ფინანსური დანახარჯებისაგან. დაზღვევის დახმარებით შესაძლებელია პოტენციური რისკების დადგომის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება ან მისი შემცირება.

# ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ

## ᲠᲐᲨᲘ ᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ?

დაზღვევა არის შეთანხმება, რომლის თანახმადაც წინასწარ განსაზღვრული თანხის გადახდის სანაცვლოდ, სადაზღვევო ორგანიზაცია აგინაზღაურებთ შესაბამის ზიანს.

აზღვევს რისკებისგან, გადასცემს სადაზღვევო პოლისს და ხელშეკრულებას

**მზღვეველი (სადაზღვევო კომპანია)**

**დაზღვეული (ფიზიკური ან იურიდიული პირი)**

იხდის სადაზღვევო პრემიას, ანუ ფულად შენატანს

# ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ



## ᲠᲐ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ?

### ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ

- ჯანმრთელობის დაზღვევა
- სამოგზაურო დაზღვევა
- სიცოცხლის დაზღვევა

### ᲥᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ

- აგროდაზღვევა
- ტრანსპორტის დაზღვევა
- სხვა სახის ქონების დაზღვევა

### ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ

- პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა
- სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

# დაზღვევა

## დაზღვევით სარგებლობისას გასათვალისწინებელი საკითხები

### დაზღვევის შეძენამდე:

- სად შეიძლება შეიძინოთ დაზღვევა?
- შეისწავლეთ და ერთმანეთს შეადარეთ სხვადასხვა შემოთავაზება
- გაიგეთ, რას არ ფარავს დაზღვევა
- დააზუსტეთ ფრანშიზის პირობა და ოდენობა

### დაზღვევის შეძენის შემდეგ:

- დროულად გადაიხადეთ სადაზღვევო პრემია
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას იმოქმედეთ ხელშეკრულების შესაბამისად
- პრეტენზიის დაფიქსირების უფლება

# დაზღვევა

## სავარჯიშოს იდეები:

დაყავით ბავშვები რამდენიმე ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს მიეცით სხვადასხვა სცენარი. მაგალითად:

- შეიძინეთ ავტომობილი;
- გადახვედით საცხოვრებლად ახალ სახლში;
- გაქვთ სასოფლო მეურნეობა, მაგალითად მიწის ნაკვეთზე მოგყავთ მარცვლეული;
- მიდიხართ სამოგზაუროდ;
- მუშაობთ და იღებთ სესხს თქვენი ხელფასის საფუძველზე და ა.შ.

დაუსვით მათ შემდეგი კითხვები:

- რა შემთხვევა შეიძლება მოხდეს?
- ვის და რა ზარალი შეიძლება მიადგეს?
- რომელი ტიპის დაზღვევას შეიძენდით?

# ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ

## ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ

- ფინანსური განათლების ბროშურა:
  - დაზღვევა
- ფინანსური განათლების პორტალი: finedu.gov.ge
  - კატეგორია: დაზღვევა



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

finedu

# მადლობა ყურადღებისთვის!

ფინანსური განათლების პორტალი:

www.finedu.gov.ge

www.facebook.com/finedu.gov.ge

info@finedu.gov.ge

თინათინ გუჯაბიძე,

წამყვანი სპეციალისტი, ფინანსური განათლების განყოფილება

Tinatin.Gujabidze@nbg.gov.ge